



**EURASIA
PARTNERSHIP
FOUNDATION**



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE



MDF
მედიის განვითარების ფონდი

ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების მედია მონიტორინგი

2010 წლის 12 - 18 მარტი

ეთნიკური/რელიგიური უმცირესობების გაშუქება

რაოდენობრივი კვლევა

2010 წლის 12-დან 18 მარტის ჩათვლით მედია-საშუალებებში (7 საერთო-სახელმწიფოებრივი, 8 რეგიონული გაზეთი, 5 ტელევიზია) უმცირესობების გაშუქების სულ 11 ფაქტია მოკვლეული.

მოკვლეული 11 ფაქტიდან 10 ეთნიკურ უმცირესობებს ეხებოდა, ერთი კი რელიგიურს. ეთნიკური უმცირესობების გაშუქების 10 ფაქტი ასე განაწილდა: 3 ნეგატიური, 2 პოზიტიური და 5 ნეიტრალური გაშუქება. რელიგიური უმცირესობის გაშუქების ერთი მოკვლეული ფაქტი კი ნეგატიური შინაარსისა იყო.

საანალიზო პერიოდში უმცირესობები გააშუქა სამმა გაზეთმა 7 სტატიაში. ამ 7 სტატიაში მოკვლეული 7 ფაქტიდან 4 ნეგატიური შინაარსისა იყო და 3 ნეიტრალური. უმცირესობები გააშუქა სამმა ტელეარხმა. სამაუწყებლო მედიაში (მხედველობაში გვაქვს მხოლოდ საინფორმაციო გამოშვებები) მოკვლეული 4 ფაქტიდან 2 პოზიტიური და 2 ნეიტრალური შინაარსის გაშუქებაა.

აღსანიშნავია, რომ საანალიზო პერიოდში (12 - 18 მარტი) მონიტორინგის ქვეშ მყოფ ხუთ ტელევიზიაში არც ერთი სიუჟეტი არ ეხებოდა რელიგიურ უმცირესობებს მაშინ, როდესაც დღის განმავლობაში ამ ტელევიზიების საინფორმაციო გამოშვებებში მართლმადიდებლობის გაშუქების ფაქტებმა ჯამში 15 შეადგინა.

საანალიზო პერიოდში კვლავ ბევრი იყო პროფესიული სტანდარტის დარღვევის შემთხვევები. უმცირესობების გაშუქების გამოვლენილი ფაქტებიდან მესამედზე მეტში პროფესიული სტანდარტებია დარღვეული. საანალიზო პერიოდში უმცირესობების ნეგატიური გაშუქებით გამოირჩეოდა გაზეთი „ასავალ-დასავალი“. გაზეთებში მოკვლეული ნეგატიური გაშუქების 4 ფაქტიდან სამი სწორედ ამ გაზეთში იქნა მოძიებული.

თვისობრივი კვლევა

თვისობრივი კვლევის შედეგად გამოვლენილი იქნა მედია საშუალებების მიერ შემდეგი სტანდარტების დარღვევის ფაქტები:

დისკრიმინაცია ეთნიკური/რელიგიური ნიშნით

1. გაზეთი „ალია“ №29 (2466); 18-19 მარტი, 2010. სტატია: „ვისი ბრძანებით ვერ შეაქვთ დახურულ სხდომებზე „ნაციონალებს“ მობილურები?“

„სააკაშვილისა და რურუას სატელეფონო საუბარში ნახსენები გლუქსმანი, სავარაუდოდ, ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსი და მემარჯვენე ორიენტაციის ესეისტი, საზოგადოებრივი აზრის ეპატაჟურობისკენ მომართული, წარმოშობით ებრაელი ანდრე გლუქსმანი გახლავთ“.

ეს ფრაგმენტი სტანდარტის დარღვევის ტიპური მაგალითია. აქ ეთნიკური წარმომავლობის ხსენება არანაირ საინფორმაციო ღირებულებას ან საზოგადოებრივ ინტერესს არ წარმოადგენს. გარდა ამისა, სტატიის შინაარსისა და ტონიდან გამომდინარე, ეთნიკური წარმომავლობა უარყოფით კონტექსტშია ნახსენები, რაც შეურაცხყოფელია როგორც საერთოდ ებრაელი ხალხის, ასევე საქართველოში მცხოვრები ებრაელების მიმართ.

2. გაზეთი „ასავალ-დასავალი“ №11 (807); 15-21 მარტი, 2010. ანალიტიკური ინტერვიუ. თემურ შაშიაშვილი: „ამის შემდეგ მსოფლიო საზოგადოებამ საბოლოოდ უნდა გააკეთოს დასკვნა, რომ საქართველოს ჰყავს შეშლილი პრეზიდენტი!“

ეს ინტერვიუ მთლიანად არის დისკრიმინაციული, შეურაცხყოფელი და ქსენოფობიური, აღვივებს შუღლს და სიძულვილს ერებსა და ეთნოსებს შორის. ამკვიდრებს სტერეოტიპს, რომ საქართველოში არაქართველობა სირცხვილია და საქართველოში მცხოვრები ყველა არაქართველი მეორეხარისხოვანი ადამიანია.

„ფულის მხარჯველები ბეჟუაშვილები არიან, რომლებიც გვარგადაკეთებული სომხები არიან და კონტროლის პალატის თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილიც გვარგადაკეთებული სომეხია! სომხეთი იმიტომ არის ძლიერი, რომ ერთ არასომეხს ვერ ნახავ, საქართველოს ხელისუფლებაში კი ვისაც გავლენა აქვს, ან სომეხია, ან ებრაელი! იყავი სომეხი, კი ბატონო, მაგრამ გვარს რატომ იცვლი?“

„ამ ქვეყანას სააკაშვილზე დიდი მტერი არც შიგნით და არც გარეთ არ ჰყავს! პრეზიდენტის მიერ თურქული სკოლის გახსნა რას ჰყავს? დედაშენი რადგან თურქოლოგია, შეიძლება თურქული უნივერსიტეტები, ინსტიტუტები, სკოლები გახსნა? შეიძლება მთელი ბიზნესი თურქებს ჩააბარო? ევროპამ არ გახსნა საზღვრები თურქეთთან და ჩვენ გავხსენით! სავსეა ქართული საკოლმეურნეო ბაზარი თურქეთიდან შემოტანილი პროდუქციით. თუ შენ შენი ქვეყანა გიყვარს, ამის დაშვება შეიძლება? შეიძლება, ასე გაწირო ქართული სოფელი და სოფლის მეურნეობა?“

„ვიდაც-ვიდაცებს ძალიან აღიზიანებთ, როცა ვამბობ, რომ ბეჟუაშვილები არიან სომხები. არ მესმის, სომხობა რატომ არის ცუდი? სააკაშვილი ბეჟუაშვილთან ერთად ჩავიდა სომხეთში და იქ ბერძნებს უთხრა, აგერ, ბერძენი ჩამოგიყვანეთო, იმიტომ, რომ ბეჟუაშვილებს მამა ჰყავთ სომეხი და დედა-ბერძენი! ბერძნობა რატომ არის კარგი და სომხობა ცუდი? საქართველოში ვინც ხელისუფლებაშია და ვისაც სერიოზული ბიზნესი აქვს, ყველანი არიან გვარშეცვლილი ადამიანები! თან ეს არის ის ხალხი, ვისაც შევარდნაძის დროს სააკაშვილი ებრძოდა, სხვა ახალი სახე არ გამოჩენილა. ქვეყანაში ტენდენცია დამკვიდრდა, რომ თუ გვარი გაქვს შეცვლილი,

მაშინ წახვალ წინ, იქნები ბიზნესში და გექნება ფული. მე სომეხი მეგობრები მყავს და შესანიშნავი ურთიერთობები მაქვს, მაგრამ რასაც დღეს სომხეთი აკეთებს საქართველოში სააკაშვილის ხელისუფლების ხელშეწყობით, ეს ჩვენი ქვეყნისათვის არის კატასტროფა!“

ამ ინტერვიუს ამღებ ჟურნალისტს არ დაუსვამს არც ერთი ისეთი შეკითხვა რესპონდენტისთვის, რომლითაც ოპონირებას გაუწევდა ამ ქსენოფობიურ და დისკრიმინაციულ გამონათქვამებს ანდა მოთხოვდა ასეთი განცხადებების განმარტებას და მათ არგუმენტირებას დადასტურებული ფაქტებით. არც ინტერვიუს ბოლოს არის რაიმე მინაწერი გაზეთში, რომელშიც ჟურნალისტი და შესაბამისად, რედაქცია გამოხატავდა თავის დამოკიდებულებას ასეთი დისკრიმინაციული მოსაზრებების თაობაზე.

3. გაზეთი „ასავალ-დასავალი“ №11 (807); 15-21 მარტი, 2010. ანალიტიკური ინტერვიუ. გოგა ხაინდრავა: „ბარაქობა, ქართველებო! დაჭამეთ ერთმანეთი, სანამ დროა! და ამასობაში სააკაშვილი, მერაბიშვილი, ბეჟუაშვილი და გილაური „ველიკაია არმენიას“ ნაწილად გადააქცევენ საქართველოს! ხოლო გოგი ოჩიაური ტიგრან დიდის ძეგლს დადგამს თბილისში!“

ეს ინტერვიუც ამავე გაზეთის ზემოაღნიშნული პუბლიკაციის (№2) იდენტურია. აქაც უხეშად არის დარღვეული ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციისა და შეურაცხყოფის დაუშვებლობის სტანდარტი და არც აქ არის რედაქციის საპირისპირო პოზიცია გამოხატული.

გოგა ხაინდრავა: „ასავალ-დასავალის“ ფურცლებიდან ქართველებს მინდა მივმართო: ქართველებო! ჩემო დებო და ძმებო! დიდი დრო არ გავა და ჩვენ “ველიკაია არმენიას” ერთი ნაწილი გავხდებით! დღეს ოპოზიციის შიგნით მიმდინარე მოვლენებზე აქვთ ფივილ-ხივილი ატეხილი და ყველას ავიწყდება მთავარი: დღეს რეალურად ხდება ქართული სახელმწიფოს გასომხება! სააკაშვილი, ბეჟუაშვილი, გილაური, ვარძელაშვილი და ძმანი მათივე წინაპრების საუკუნოვან ოცნებას ასრულებენ! ეს არის „ველიკაია არმენია“ ზღვიდან ზღვამდე! სხვა ახსნა არა აქვს იმას, რისი მოწმენიც რეალურად ვხდებით-ლარსის საზღვრის გახსნა არანაირად არ ემსახურება ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ხალხის ინტერესებს! ერთადერთი მხარე, რომელიც დაინტერესებულია ამ საზღვრის გახსნით – სომხეთია! თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სააკაშვილს პირობა აქვს მიცემული სომხეთის პრეზიდენტისთვის სომხური ენისთვის რეგიონალური სტატუსის მინიჭების თაობაზე, და ამას თუ ახალქალაქი-ბათუმის გზის დაჩქარებული ტემპით გახსნასაც დაუეკავშირებთ, სრული საფუძველი გვაქვს განვაცხადოთ: სომხური ლობი ქართულ ხელისუფლებაში სრულად ახორციელებს თავის გეგმებს და ეს გეგმა, უპირველესად, სომხური სახელმწიფოს გაძლიერებას ემსახურება! ვიმეორებ: საკუთარი წინაპრების საუკუნოვან ოცნებას ასრულებენ დღეს ეს ადამიანები!

გოგა ხაინდრავა: ისე, მართლა ვეღარ გავერკვიე, რა ხდება – ვინ არიან სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე... ერთი ნალბანდიანია და მეორე – ნალბანდოვი; ვინ რას ქადაგებს, აღარ ვიცი!

4. გაზეთი „ასავალ-დასავალი“ №11 (807); 15-21 მარტი, 2010. სტატია „ბავშვებს ისევ მურაბა უყვართ!“

ჟურნალისტი ეხება იმ ფაქტს, რომ საქართველოს ხელისუფლებას ათასამდე ინგლისური ენის მასწავლებელი ჩამოჰყავს ქვეყნის ყველა რაიონულ ცენტრსა და სოფელში ბავშვებისთვის ინგლისური ენის შესასწავლად

„დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, სააკაშვილი მართლა ჩამოიყვანს უცხოეთიდან იელოველის მორცხვი ღიმილით გაცისკროვნებულ ასობით „მასწავლებელს“, რომლებიც ჩვენს ბავშვებს დაელაპარაკებიან „ჭეშმარიტ რწმენაზე“ და იმასაც დააზებირებენ, რომ „ქალიშვილობის ინსტიტუტი“ წარსულის გადმონაშთია, ხოლო პედერასტები და ლესბოსელები ნორმალური ადამიანები არიან, როგორც ტრადიციული სექსუალური ორიენტაციის არსებები!“

ეს არის რელიგიური უმცირესობებისადმი შეურიგებლობის, დისკრიმინაციისა და შეურაცხყოფის მაგალითია. არამართლმადიდებელი ადამიანი ბოროტ ძალად არის გამოყვანილი. აქ არის ასევე ქსენოფობია და სექსუალური უმცირესობების დისკრიმინაცია. ხაზგასასმელია, რომ ეს ჟურნალისტის მოსაზრება და პოზიცია.

ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების გაშუქება სტანდარტების დაურღვევლად

5. გაზეთი „ასავალ-დასავალი“ №11 (807); 15-21 მარტი, 2010. ანალიტიკური ინტერვიუ. ჰამლეტ ჭიპაშვილი: „საკაშვილმა ლარსის საბაჟო მხოლოდ სომეხი კოლეგების ზეწოლის შემდეგ გახსნა!“

ეს ინტერვიუ ამავე გაზეთის სამი ზემოხსენებული ინტერვიუსგან განსხვავებით ნეიტრალური გაშუქების მაგალითია

6. გაზეთი „ასავალ-დასავალი“ №11 (807); 15-21 მარტი, 2010. ინტერვიუ. კახა აბუაშვილი: „უბედურება ეს იყო: ომში ვიყავი და ვერ ვიომე!“

მომღერალი კახა აბუაშვილი: „ბედნიერი ვარ, ამ ქალაქში რომ ვცხოვრობ. ერთხელ ჩემმა მეგობარმა ქურთმა შიკემ მითხრა (მაშინ მოსკოვში იყო), მოედანზე მთელი ქართველები შევიკრიბეთო. ხომ წარმოგიდგენიათ, საქართველოში დაბადებული ქურთი შიკეც კი თავს ქართველად მიიჩნევს, თბილისელად, უყვარს ეს ქვეყანა და უხარია, რომ ამ ქვეყანაში დაიბადა. მე სადღა წავიდე?!

ეს გაშუქება ნეიტრალურად ჩავთვალეთ, თუმცა ნეგატიურის ზღვარზე იყო. ნეგატიურ გაშუქებად კლასიფიცირებას გადაარჩინა რესპონდენტის ტონმა და ციტატის შინაარსმა. ამ კატეგორიებით ინტერვიუს ეს ფრაგმენტი პოზიტიურია, ვინაიდან მისი მიზანი საქართველოს არაქართველი მოქალაქეების ქვეყნისადმი სიყვარულის ხაზგასმაა. თუმცა ლექსიკა ნეგატიური და მასში საქართველოში არსებული სტერეოტიპი იგრძნობა. ფრაზაში „ჩემი მეგობარი ქურთი შიკე“ ეთნიკურობა არ არის სტანდარტის დარღვევით ნახსენები და საინფორმაციო მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მეორედ ეთნიკურობის ხსენების საჭიროება აღარ იყო. გარდა ამისა, ფრაზაში - „საქართველოში დაბადებული ქურთი შიკეც კი“ - აშკარად იგრძნობა იმ სტერეოტიპის გავლენა, რომლის თანახმადაც საქართველოში მცხოვრები სხვა ეთნოსების წარმომადგენლებისთვის არ არის დამახასიათებელი ისეთი დადებითი თვისებები თუ გრძნობები, როგორებიც ქართველებისთვის.

7. გაზეთი „კვირის რეზონანსის“ (065 (6291); 14 მარტი, 2010) სტატია „ისტორიის ახალი „მარგალიტი“ აკადემიკოს აივაზიანისაგან“ ნეიტრალურად აშუქებს ეთნიკური ხასიათის სადავო საკითხს.

8. ტელეკომპანია „იმედის“ 15 მარტის 14:00 საათიანმა „ქრონიკამ“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის როსტომ არტაშოვის წარდგენა ნეიტრალურად გააშუქა.

9. ტელეკომპანია რუსთავი 2-მაც 15 მარტის 18:00 საათიან „კურიერში“ საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების რეინტეგრაციის შესახებ დოკუმენტის გაფორმება ნეიტრალურად გააშუქა.

10. პოზიტიურად გაშუქდა 15 მარტს 1-ლი არხის 16:00 საათიან „მოამბეში“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის როსტომ არტაშოვის წარდგენა.

11. პოზიტიურად გაშუქდა ასევე 18 მარტს 1-ლი არხის 20:00 საათიან „მოამბეში“ თბილისში არსებული აზერბაიჯანული დრამატული თეატრის თემა.

თბილისი, საქართველო, მედიის განვითარების ფონდი 2010



პროექტი ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) და ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის (EPF) პროგრამის “ეროვნული ინტეგრაცია და ტოლერანტობა საქართველოში” ფარგლებში შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების (USAID) სააგენტოს დაფინანსებით.